TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

2023 წლის

ნახევარწლიური ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

2023 წლის ნახევარწლიური ანგარიში
ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

2023

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკის სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე დამყარებაში. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისამდე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების ანალიზის მიზნით, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია საერთაშორისო მედიასაშუალებების (BBC, CNN, The Washington Post, Al Jazeera, France 24, The Associated Press, DW, Guardian და სხვ) მიერ აღნიშნულ პერიოდში მომხდარი 120 თავდასხმის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მულტივარიაციული ანალიზი, რომელიც აღნიშნულ თავდასხმებს 5 ცვლადის - [1] თავდამსხმელის; [2] მსხვერპლის; [3] გამოყენებული იარაღის / თავდასხმის მეთოდის; [4] ლოკაციის; [5] დროის და მათ შორის კავშირის მიხედვით მიმოიხილავს.[1]

ციტირების წესი:
ფარსადანიშვილი, ბ. (2023). 2023 წლის ნახევარწლიერი ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD); ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC).

© 2023
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD)
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)
საავტორო უფლება დაცულია

[1] * შენიშვნა: აღნიშნულ პერიოდისთვის დამახასიათებელი თემატური სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო, ქვემოთ წარმოდგენილი სიტუაციური ანალიზი შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით არსებულ სურათს. *

2023 წლის პირველი იანვრიდან 30 ივნისამდე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა <u>პროცენტული</u> მაჩვენებელი თავდამსხმელის მიხედვით. წყარო: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)



განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა: 120

განხორციელებული ტერორისტული თავდასხმებ გამოყენებული იარაღის ტიპის მიხედვით. **წყარო:** ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)



განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა განაწილება ქვეყნების მიხედვით. წყარო: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)



განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა განაწილება თვეების მიხედვით. წყარო: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)



განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა. წყარო: ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC)





- სამოქალაქო პირი: 151
- სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენელი: 114
- ხელისუფლების წარმომადგენელი: 9
- თავდამსხმელი: 58

- ქალი: 145
- მამაკაცი: 187

სარჩევი

ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინცია (ISWAP)	5
ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინცია (IS-GS)	7
ისლამური სახელმწიფო („დაეში“) კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ISIS-DRC)	9
„ისლამური სახელმწიფო (“დაეში“) მოზამბიკში	11
ისლამური სახელმწიფოს (“დაეში“) ხორასანის პროვინცია (IS-K)	13
ბოკო ჰარამი	15
ალ-შაბააბი	17
ნუსრატ ალ-ისლამი	19
ჰამასი	21
პალესტინის ისლამური ჯიჰადი	23
ჰეზბოლა	24
ჰუთების / ჰუსიტების მოძრაობა	25
წმინდათა არმია	27
პაკისტანის თალიბანი	29
არაიდენტიფიცირებული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შესახებ	30
დასკვნა	32

2015 წელს ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის“ (ქართ. „დასავლური განათლება აკრძალულია“) ლიდერების მიერ ისლამური სახელმწიფოს ემირისთვის ერთგულების ფიცის („ბაიათის“) დადების შედეგად, ორგანიზაციამ ისლამური სახელმწიფოს დასავლეთაფრიკული ერთეულების მაკოორდინირებელ ფუნქციასთან ერთად, ახალი სახელი - „ისლამური სახელმწიფოს (‚დაეში’) დასავლეთ აფრიკის პროვინცია“ (ISWAP) შეიძინა.

ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინცია (ISWAP)

ფიგურა 1. ჩადის ტბის აუზი

2023 წლის პირველი იანვრიდან ოცდაათ ივნისამდე, საერთაშორისო მედიასაშუალებებში აღრიცხული ზემოხსენებული 120 ტერორისტული თავდასხმა ითვალისწინებს **ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP)** მიერ ჩადის ტბის აუზის მტკნარი წყლის რესურსის დაკავების მიზნით, ნიგერიის (2), ნიგერის (4) და ჩადის (1) ტერიტორიებზე განხორციელებულ **7 ტერორისტულ თავდასხმას** (იხ. ფიგურა 1).

XX-საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, ჩადის ტბის აუზის ზედაპირის ფართობის 90%-იანი შემცირების პირობებში, **აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობის პერიოდი, როგორც წესი, ემთხვევა ოქტომბრიდან მაისამდე დაფიქსირებულ რეგულარულ სეზონურ გვალვებს,** რომელსაც ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინცია (ISWAP) ზემოთ ხსენებულ **სახელმწიფოებში არსებული საზღვრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების გამო, „წარმატებით“** იყენებს (იხ. ფიგურა 2).



ფიგურა 2. ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით.

2023 წლის პირველ ნახევარში, ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების საშუალო სიკვდილიანობის მაჩვენებელი ≈5.2 ადამიანს შეადგენდა, რაც თითოეული ტერორისტული თავდასხმის შედეგად საშუალოდ 5 პირის დაღუპვას გულისხმობს (იხ. ფიგურა 3).

ფიგურა 3. ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა



- სამოქალაქო პირი: 19
- სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენელი: 12
- თავდამსხმელი: 6

2021 წლის 19 მაისს, სამბისას ტყეში, „ბოკო-ჰარამის“ (ქართ. „დასავლური განათლება აკრძალულია“) სამალავზე მიტანილი სამხედრო იერიშის ფარგლებში ორგანიზაციის ლიდერის, აბუბაქარ შეკაუს ლიკვიდაციის და აღნიშნულ სასაწყობე ობიექტზე განთავსებულ იარაღზე წვდომის მოპოვების შემდეგ, ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მებრძოლებმა ტერორისტული თავდასხმების განხორციელებისას მეტწილად ნახევრად ავტომატური და ავტომატური, AK-47 ტიპის მოიერიშე შაშხანების გამოყენება დაიწყეს. აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აღრიცხულ 7 ტერორისტულ თავდასხმაშიც (იხ. ფიგურა 4).



ფიგურა 4. ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები

ისლამური სახელმწიფო („დაეში“) დიდ საჰარაში (ISIS-GS) 2015 წლის 15 მაისს აღ კაიდასგან გამოყოფილ ჯგუფს, მურაბიტთა სამხედრო მოძრაობას (ასევე ცნობილი, როგორც „აღ მურაბიტონი“) თავად გამოეყო და ერთგულება ისლამური სახელმწიფოს („დაეშის“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) ემირს აღუთქვა. 2019 წლიდან 2022 წლამდე, დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) ერთ-ერთ სამხედრო ბლოკად ითვლებოდა, რომელსაც 2022 წლის მარტში გამოეყო და ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინციის სახელით დაიწყო მოქმედება.

ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინცია (IS-GS)



ფიგურა 5. ლიპტაკო-გურმას რეგიონი.

წინამდებარე ანგარიშში აღრიცხულია საჰელის რეგიონში მოქმედი ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მიერ განხორციელებული 4 ტერორისტული თავდასხმა მალის, 2 ტერორისტული თავდასხმა ბურკინა-ფასოს და 1 ტერორისტული თავდასხმა ნიგერის ტერიტორიებზე. „დიდი საჰარის პროვინციის“ აღნიშნულ სამ ქვეყანაში აქტივობა განსაზვრულია ე.წ. ლიპტაკო-გურმას სახელით ცნობილ ტრიბორდერულ რეგიონში, რომელიც აღმოსავლეთ ბურკინა-ფასოს, სამხრეთ-აღმოსავლეთ მალის და სამხრეთ-დასავლეთ ნიგერიის ნაწილებს აერთიანებს (იხ. ფიგურა 5).

“დაეშის“ დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მიერ 2023 წლის ივნისში ტერორისტული თავდასხმების განხორციელების კუთხით შედარებით მაღალი აქტივობის დაფიქსირება დაკავშირებულია მალიში მიმდინარე წლის 18 ივნისს ჩატარებულ საკონსტიტუციო რეფერენდუმთან, ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან გამკლავების ფარგლებში, პრეზიდენტისა და სამხედრო კორპუსის უფლებამოსილების გაფართოების შესახებ (იხ. ფიგურა 6).



ფიგურა 6. ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით.

მალიში გამართული რეფერენდუმის დროს საზოგადოებაზე ზეწოლის მიზნით, „დიდი საჰარის პროვინციის“ (IS-GS) მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების ძირითად სამიზნეს სამოქალაქო პირები წარმოადგენდნენ (12 მსხვერპლი). შედარებით მცირეა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რიცხვი ბურკინა-ფასოსა (2 სამოქალაქო პირი) და ნიგერში (1 სამოქალაქო პირი, 3 სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენელი და 1 თავდამსხმელი) (იხ. ფიგურა 7).

ფიგურა 7. ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა ქვეყნები



ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების დროს გამოყენებული იარაღის არჩევანი მეტწილად განპირობებულია მისი ადგილობრივი ბლოკების წვდომით ხსენებულ ტრიბორდერულ რეგიონში არსებულ იარაღის კონტრაბანდის მარშრუტებზე. 2023 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული ორგანიზაციის მებრძოლების მიერ განხორციელებულ ყველა ტერორისტულ თავდასხმაში ცეცხლსასროლი იარაღი ფიგურირებდა.

ისლამური სახელმწიფო („დაეში“) კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ISIS-DRC) (ასევე ცნობილი, როგორც გაერთიანებული დემოკრატიული ძალები (ADF)) ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში მოქმედი ძალადობრივი ექსტრემისტული დაჯგუფებაა. თავდაპირველად, გაერთიანებული დემოკრატიული ძალები (ADF) უგანდაში ანტისამთავრობო მოძრაობად ჩამოყალიბდა, რომელმაც 2019 წელს აღიარება მოიპოვა ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) ლიდერებისგან და მას როგორც ადგილობრივი ბლოკი შეუერთდა.

ისლამური სახელმწიფო („დაეში“) კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ISIS-DRC)



ფიგურა 8. რუვენზორის მთები

2023 წლის პირველ ნახევარში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის უგანდასთან არსებულ აღმოსავლეთ საზღვართან, რუვენზორის მთების რეგიონში, **გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ძალებმა** პასუხისმგებლობა აიღო **კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებულ 5 და უგანდის ტერიტორიაზე განხორციელებულ 8 თავდასხმაზე** (იხ. ფიგურა 8). თავდასხმების ორი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელება განპირობებულია უგანდაში ფორმირებული ტერორისტული ორგანიზაციის **მებრძოლების მხოლოდ ნაწილის მიგრირებით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის კივუს პროვინციაში,** რაც ორივე ქვეყნისთვის **საზღვრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საერთო გამოწვევებს ქმნის.**

გაერთიანებული დემოკრატიული ძალები (ADF) 2023 წლის პირველ ნახევარში შედარებით მაღალ აქტივობას კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე **მაისში** აფიქსირებს, **განსხვავებით უგანდის დასავლეთ ნაწილისგან,** სადაც ორგანიზაცია უფრო იშვიათად, პერიოდულად ახორციელებს თავდასხმებს (იხ. ფიგურა 9). **კივუს** რეგიონსა და **უგანდის აღმოსავლეთ ნაწილში** საზღვრების დაბალი უსაფრთხოების დონის გათვალისწინებით, **განხორციელებული არათანადროული თავდასხმები** შესაძლოა მებრძოლებს შორის **დაბალ საზღვრის მიღმა კოორდინაციაზე მიუთითებდეს.**



ფიგურა 8. გაერთიანებული დემოკრატიული ძალების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უგანდის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

გაერთიანებული დემოკრატიული ძალების ანტისახელისუფლებო შეხედულებების გამო, მის მიერ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის და უგანდის ტერიტორიაზე განხორციელებული თავდასხმის ძირითად სამიზნეს კივუს პროვინციასა და უგანდის დასავლეთ ნაწილში არსებული სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურები წარმოადგენენ, რაც თავის მხრივ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების მსხვერპლზეც აისახება (იხ. ფიგურა 9).



ფიგურა 9. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა (მარცხნივ) და უგანდის (მარჯვნივ) ტერიტორიაზე, 2023 წლის პირველ ნახევარში, ტერორისტული ორგანიზაცია გაერთიანებული დემოკრატიული ძალების (ADF) მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების მსხვერპლი ქვეყნების მიხედვით.

უგანდელი და კონგოელი სამხედროების და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენლების წინააღმდეგ აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები აღნიშნული ორგანიზაციის წევრების მიერ მეტწილად ცეცხლსასროლი და ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების დახმარებით იქნა განხორციელებული (იხ. ფიგურა 10).



ფიგურა 10. გაერთიანებული დემოკრატიული ძალების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის და უგანდის ტერიტორიაზე

„ისლამური სახელმწიფო (“დაეში“) მოზამბიკში / (ასევე ცნობილი, როგორც) „ანსარ ალ-სუნა“ (ქართ. „სუნიზმის მიმდევრები“) ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ, სეპარატისტულ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც მიზნად მოზამბიკის უცხოური გავლენებისგან გათავისუფლებას ისახავს. ისლამურ სახელმწიფოსთან („დაეში“) აფილირების შემდეგ, მოზამბიკური ერთეული, რომელშიც 1200-მდე მებრძოლი წევრიანდება, ინტენსიურად ახორციელებს თავდასხმებს კაბუ-დელგადუს პროვინციაზე, მოზამბიკის სხვა რეგიონებზე და საზღვრის მიღმა, ტანზანიის სამხრეთ ნაწილში.

„ისლამური სახელმწიფო (“დაეში“) მოზამბიკში / (ასევე ცნობილი, როგორც) „ანსარ ალ-სუნა“ (ქართ. „სუნიზმის მიმდევრები“)

ფიგურა 11. კაბუ-დელგადუს

ტანზანიის სამხრეთ საზღვართან, მოზამბიკის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური სახელმწიფოს ადგილობრივი ერთეულის, „ანსარ ალ-სუნას“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული 8 თავდასხმა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ზღვისპირა, კაბუ-დელგადუს პროვინციაში მოხდა (იხ. ფიგურა 11). აღნიშნული ტერორისტული თავდასხმები, ისლამური სახელმწიფოს მიერ 2017 წლის 5 ოქტომბერს, კაბუ-დელგადუს პროვინციაში დაწყებული სეპარატისტული აჯანყების ნაწილია, რომელიც მიზნად პროვინციის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნასა და მისი შარიათის კანონით მართვას ისახავს. აჯანყების ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია რეგულარულად ახორციელებს თავდასხმებს ხელისუფლების წარმომადგენლების, ადგილობრივი და პროვინციის მიღმა მაცხოვრებლების მიმართ.

2023 წლის პირველ ნახევარში მოზამბიკის ტერიტორიაზე „ანსარ ალ-სუნას“ სახელით მოქმედი ისლამური სახელმწიფოს („დაეშის“) ადგილობრივი ერთეულის მიერ განხორციელებული რვავე ტერორისტული თავდასხმა დაკავშირებულია 2023 წლის ოქტომბრის თვეში დაგეგმილი მუნიციპალური არჩევნების მეხუთე რაუნდთან დაკავშირებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ხმის მიმცემ პირთა რეგისტრაციის პროცესთან, რამაც განაპირობა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების კონცენტრირება 20 აპრილი-3 ივნისის პერიოდში.



ფიგურა 12. „ანსარ ალ-სუნას“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

„ანსარ ალ-სუნას“ მიზნიდან გამომდინარე, ხელი შეუშალოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მოახდინოს არსებული მმართველობის ფორმის დელეგიტიმაცია და უბიძგოს მოსახლეობას თავი შეიკავოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისაგან, განსაზღვრავს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ხელისუფლების, სამხედრო და სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ფარგლებში სამოქალაქო პირების სამიზნეში ამოღების ტენდენციასაც (იხ. ფიგურა 13).

ფიგურა 13. „ანსარ ალ-სუნას“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული 8 თავდასხმიდან 6, განხორციელებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო 2 - ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობით.

2014 წლის ოქტომბერში, ტერორისტული ორგანიზაცია „თეჰრიკ-ე-თალიბანის“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“) (TTP) ვეტერანი მებრძოლის - ჰაფიზ საიდ ხანის, სპიკერი, შეიხ მაქბულის და მათთან დაკავშირებული ავღანეთში, ნანგარჰარის პროვინციაში მებრძოლი სამხედროების მიერ ისლამური სახელმწიფოს იმდროინდელი ლიდერის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მიმართ დადებული ფიცის შემდეგ, 2015 წლის იანვარში გავრცელდა ინფორმაცია ისტორიული ხორასანის რეგიონში ადგილობრივი ერთეულის შექმნის შესახებ.

ისლამური სახელმწიფოს (“დაეში“) ხორასანის პროვინცია (IS-K)

ფიგურა 14. ნანგარჰარის პროვინცია, ავღანეთი.

საერთაშორისო მედიასაშუალებებმა, 2023 წლის პირველ ნახევარში ავღანეთის და პაკისტანის საზღვართან, ნანგარჰარის რეგიონში (იხ. ფიგურა 14) მოქმედი ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) ხორასანის პროვინციის მიერ განხორციელებული 6 ტერორისტული თავდასხმა აღრიცხეს, საიდანაც 4 აღნიშნულმა ორგანიზაციამ, 2021 წლის აგვისტოში, თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად აღნიშნულ ჯგუფთან დაპირისპირების ფარგლებში განახორციელა, ხოლო 2, საზღვრის მიღმა, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განახორციელა.

2023 წლის პირველ ნახევარში ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) ხორასანის პროვინცია პერიოდულად ახორციელებდა აღნიშნულ თავდასხმებს ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა, მათ მიერ განხორციელებული ხსენებული 6 ტერორისტული თავდასხმა არ მოიაზრებდა რაიმე მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ავღანეთის ტერიტორიაზე განხორციელებული თავდასხმები მოხდა იანვარი-მაისის თვეში, ხოლო პაკისტანის ტერიტორიაზე აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2 თავდასხმა განახორციელა მაისსა და ივნისში. მიუხედავად იმისა, რომ „ხორასანის პროვინციის“ მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების ძირითად სამიზნედ ავღანეთსა და პაკისტანის ტერიტორიაზე მოქმედი თალიბანის ქსელი წარმოადგენს, საგულისხმოა აღნიშნული თავდასხმების შედეგად დაღუპულ სამოქალაქო პირთა მაღალი მაჩვენებელი (იხ. ფიგურა 15).



ფიგურა 15. „დაეშის ხორასანის პროვინციის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში ავღანეთის (მარცხნივ) და პაკისტანის (მარჯვნივ) ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად გარდაცვლილ პირთა

„ხორასანის პროვინციის“ მიერ სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების დროს სამოქალაქო პირთა სიკვდილიანობის მაღალი სტატისტიკა მიუთითებს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ თავდასხმის ფარგლებში ფართო არეალის დაფარვის იარაღის გამოყენების ტენდენციაზე, რაც მეტწილად ორგანიზაციის მიერ ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებს გულისხმობს (იხ. ფიგურა 16).



ფიგურა 16. „დაეშის“ ხორასანის პროვინციის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის ტიპის მიხედვით

2016 წელს, ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) წევრებთან უთანხმოების შედეგად, აბუბაქარ შეკაუს ინიციატივით „ბოკო ჰარამის“ აღდგენის შემდეგ. ტერორისტულმა ორგანიზაციამ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიის, ჩადის, ნიგერის, ჩრდილოეთ კამერუნის და მალის ტერიტორიებზე ოპერირება აღადგინა, რამაც აღნიშნულ ორ ტერორისტულ დაჯგუფებას შორის სამხედრო კონფლიქტს ჩაუყარა საფუძველი.

ბოკო ჰარამი (ქართ. „დასავლური განათლება აკრძალულია“)

ფიგურა 17. ბორნოს შტატი, ნიგერია

წინამდებარე ანგარიში ითვალისწინებს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ნიგერიის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციის, „ბოკო ჰარამის“ (ქართ. დასავლური განათლება აკრძალულია) მიერ, ბორნოს შტატში განხორციელებულ 12 ტერორისტულ თავდასხმას (იხ. ფიგურა 17). ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) დასავლეთ აფრიკის პროვინციისაგან (ISWAP) გამოყოფილმა და მის კონკურენტად ფორმირებულმა აბუბაქარ შეკაუს დაჯგუფების ბორნოს შტატში ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობას ხელს უწყობს ხელისუფლების უუნარობა უზრუნველყოს საზღვართან მდებარე რეგიონების უსაფრთხოება.

აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს ნიგერიაში სახელმწიფო გადატრიალებას და მის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნას, განხორციელებულმა თავდასხმებმა გარკვეულწილად შედეგი იქონია 2023 წლის 5 თებერვალს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე შტატიდან წარმოდგენილი ხმის მიმცემ პირთა ისტორიული მინიმუმის დაფიქსირების თვალსაზრისით. ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განხორციელების პერიოდი მიუთითებს ორგანიზაციის განსაკუთრებით მაღალ აქტივობაზე წინასაარჩევნო პერიოდში. მაისში ბოკო ჰარამის აქტიურობა შესაძლოა კავშირში იყოს არჩეული პრეზიდენტის, ბოლა ტინუბუს ინაუგურაციასთან (იხ. ფიგურა 18).



ფიგურა 18. „ბოკო ჰარამის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით



ფიგურა 19. „ბოკო ჰარამის“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

საგულისხმოა რომ „ბოკო ჰარამი“, ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციისაგან (ISWAP) განსხვავებით, თავდასხმების განხორციელებისას უფრო მეტად არის ფოკუსირებული მოქალაქეების ტერორზე, რასაც შემდგომში აღნიშნული ორგანიზაცია მათსავე რეკრუტირებისთვის იყენებს. 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული 12 ტერორისტული თავდასხმის სამოქალაქო პირთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საგრძნობლად აჭარბებს სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურების წარმომადგენლების იმავე მაჩვენებელს (იხ. ფიგურა 19).

2021 წლის მაისში, ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინციისთვის (ISWAP) პოზიციების დათმობის შემდეგ, რაც ორგანიზაციის სამხედრო საცავების დაკარგვასაც გულისხმობდა, ტერორისტული ორგანიზაციის წევრები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ცივ იარაღს მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების ფარგლებში. აღნიშნული ტენდენცია აისახა 2023 წლის პირველ ნახევარში „ბოკო ჰარამის“ მიერ განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებზეც (იხ. ფიგურა 20).



ფიგურა 20. ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო ჰარამის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის ტიპის მიხედვით

მიუხედავად ოფიციალურად 2006 წელს ჩამოყალიბებისა, „ალ-შაბააბის“ ფორმირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 90-იან წლებში სომალის მესამე პრეზიდენტის, მოჰამედ სიად ბარეს, გარდაცვალების შედეგად გაძლიერებულ „ალ-იტიჰად ალ-ისლამს“ (ქართ. „ისლამური კავშირი“) (AIAI), რომლის ახლო აღმოსავლეთში განათლებამიღებულ ლიდერებს, მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ოსამა ბინ ლადენთან. 2000-იანი წლების დასაწყისში, „ისლამური კავშირის“ მაღალი რანგის წარმომადგენლებს შორის, ორგანიზაციის სამომავლო განვითარების თაობაზე გაჩენილი უთანხმოების შედეგად, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციის დამფუძნებლებს „ისლამური კავშირის“ პოლიტიკურ პარტიად რეფორმირება სურდათ, ჯგუფის ახალგაზრდა წევრები ე.წ. „ისლამურ სასამართლოთა კავშირს“ ახალგაზრდებისგან ფორმირებული სამხედრო ბატალიონის, „ალ-შაბააბის“, სახელით შეუერთდნენ.

„ჰარაკატ ალ-შაბააბ ალ-მუჯაჰიდინ ალ-შაბააბი“ (შემოკლ. ალ-შაბააბი) (ქართ. „ახალგაზრდები / ახალგაზრდობა“



ფიგურა 21. ქვემო შაბელის და ჯუბას რეგიონები

სომალის სამხრეთ ნაწილში, ქვემო შაბელსა და ჯუბას რეგიონებში ბაზირებული, ალ კაიდასთან აფილირებული ისლამისტურმა ტერორისტულმა ერთეულმა, „ჰარაკატ ალ-შაბააბ ალ-მუჯაჰიდინ ალ-შაბააბმა“ (შემოკლ. ალ-შაბააბი) (ქართ. „ახალგაზრდები / ახალგაზრდობა“) მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ოცდაათ ივნისამდე სომალის სამხრეთ ნაწილში, ქვემო შაბელის, ჯუბას და მათთან ახლომდებარე რეგიონებში 14 ტერორისტული თავდასხმა განახორციელა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-ლოჯისტიკური ხელშეწყობით ფორმირებულ „დანაბეს“ ბრიგადების წინააღმდეგ პოზიციების დაკარგვის შემდეგ, ორგანიზაცია ქვემო შაბელსა და ჯუბაშია გამაგრებული (იხ. ფიგურა 21).

ისევე როგორც წინა წლების პირველ ნახევარში, 2023 წელს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბი ყველაზე მაღალ აქტივობას ივნისის თვის მიწურულს აფიქსირებს, რაც დაკავშირებულია სომალის ჩრდილოეთ ნაწილის (ე.წ. ბრიტანული სომალის) დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან 26 ივნისს და აღნიშნული ტერიტორიის იტალიის სამხრეთ სომალის პროტექტორატთან გაერთიანებასთან პირველ ივლისს. საგულისხმოა, რომ სისტემატურად აქტიური ტერორისტული ორგანიზაცია განსაკუთრებულად მაღალი ინტენსივობის თავდასხმებს სწორედ აღნიშნული დღესასწაულების წინა პერიოდში, ივნისის თვის მეორე ნახევარში ახორციელებს (იხ. ფიგურა 22).



ფიგურა 22. ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

სამოქალაქო პირების სამიზნეში ამოღებასთან ერთად, სამხრეთ სომალის ტერიტორიაზე მოქმედი აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის ხელთ არსებული



რესურსი და ალ კაიდასგან მიღებული დახმარება საშუალებას აძლევს ალ-შაბააბს „წარმატებული“ ტერორისტული თავდასხმები განახორციელოს როგორც სამოქალაქო, ისე - სამხედრო და სამართალდამცავი უწყებების და ხელისუფლების წარმომადგენელი სამიზნეების წინააღმდეგ. საგულისხმოა ორგანიზაციის მიერ, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა მაღალი რიცხვი (იხ ფიგურა 23).

ფიგურა 23. ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

განხორციელებულ თავდასხმებთან ერთად, საგულისხმოა ორგანიზაციის მიერ თავდასხმის იარაღის არჩევანი, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დაგეგმილი თავდასხმის სამიზნესთან. მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ცეცხლსასროლ იარაღს იყენებს სამართალდამცავი, სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ, ორგანიზაცია ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების დახმარებით ახორციელებს ტერორისტულ თავდასხმებს (იხ. ფიგურა 24).



ფიგურა 24. ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

ჯამა'ათ ნასრ ალ-ისლამ ვალ მუსლიმინ (შემოკ. ნუსრატ ალ-ისლამი / ქართ. „მუსლიმთა დახმარების ჯგუფი") (JNIM) მალიში ბაზირებული და დასავლეთ აფრიკის რეგიონში (მათ შორის, ბურკინა-ფასოსა და ნიგერში) მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციაა. „მუსლიმთა დახმარების ჯგუფი" 2017 წლის მარტში მალიში მოქმედი 4 ექსტრემისტული დაჯგუფების - [1] ანსარ (ალ-) დინის (ქართ. „რჯულის მცველნი") (AAD), [2] მურაბიტთა სამხედრო მოძრაობის (ალ მურაბიტონის), [3] მასინას განმათავისუფლებელი ფრონტის და ალ კაიდას ისლამური მაღრების ერთეულთან დაკავშირებული ბლოკის, [4] საჰარის ემირატის გაერთიანების შედეგად შეიქმნა. გაერთიანებიდან მოკლე დროში, ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებმა, იად აღ-გალიმ, ამადოუ კოუფამ და ქატაიბა ალ-შანკიტიმ, ერთგულება აღუთქვეს ალ კაიდას ემირს ისლამურ მაღრებში (AQIM), ალ კაიდას ცენტრალური სამმართველოს ემირს და თალიბანის ლიდერს.

„ჯამა'ათ ნასრ ალ-ისლამ ვალ-მუსლიმინ" (შემოკლ. „ნუსრატ ალ-ისლამი") (ქართ. „მუსლიმთა დახმარების ჯგუფი")

ისლამური სახელმწიფოს („დაეში") დიდი საჰარის პროვინციის (IS-GS) მსგავსად (იხ. ფიგურა 5), მალის, ბურკინა-ფასოს და ნიგერის ტერიტორიაზე მოქმედი მისი კონკურენტი, ალ კაიდასთან აფილირებული ტერორისტული ორგანიზაცია „მუსლიმთა დახმარების ჯგუფი" (JNIM) აქტიურად იყენებს ლიპტაკო-გურმას რეგიონში, ტრიბორდერულ უსაფრთხოების გამოწვევებს ალ კაიდას ახალი წევრების რეკრუტირებისა და ტერორისტული თავდასხმების განხორციელებისთვის. საერთაშორისო მედია-საშუალებებზე დაყრდნობით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია ხსენებულ რეგიონში მომხდარ 4 ტერორისტულ თავდასხმაზეა პასუხისმგებელი (იხ. ფიგურა 25).



ფიგურა 25. ტერორისტული ორგანიზაცია „მუსლიმთა დახმარების ჯგუფის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა განაწილება თვეების მიხედვით

მალიში 2021 წლის 24 მაისს მომხდარ სამხედრო გადატრიალებასთან ერთად, JNIM-მა, რომლის სამიზნესაც ძირითადად მალიში გაეროს მრავალგანზომილებიანი ინტეგრირებული სტაბილიზაციის მისიის (MINUSMA) ფარგლებში ქვეყნის ტერიტორიაზე დისლოცირებული მშვიდობისმყოფელები და სამხედრო სპეცოპერაცია „ბარქანეს" ფარგლებში წარმოდგენილი ფრანგი სამხედროები წარმოადგენდნენ, ძალადობრივი

ექსტრემისტული ქმედებების განხორციელება დაიწყო მალის სამხედრო ხუნტის წარმომადგენლების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში ტერროროისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოთხივე ტერორისტული თავდასხმის მთავარ სამიზნეს ტრიბორდერთან მოქმედი მალელი სამხედროები წარმოადგენდნენ, მსხვერპლი სამოქალაქო პირებს შორისაც იყო (იხ. ფიგურა 26).



ფიგურა 26. ტერორისტული ორგანიზაცია „მუსლიმთა დახმარების ჯგუფის“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

4 ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაღუპულ პირთა მაღალი რიცხვი განპირობებულია აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების და გზისპირა ბომბების გამოყენების ტენდენციით. აღნიშნულ პერიოდში „მუსლიმთა დახმარების ჯგუფის“ მიერ განხორციელებული 4 თავდასხმიდან 3-ში, ფიგურირებდა ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, ხოლო 1 თავდასხმა განხორციელებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

„ჰამასის“ უმთავრეს რესურსს მისი, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ არსებული არაერთგვაროვანი პოზიცია წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებაში. დღესაც მწვავედ დგას „ჰამასის“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარების საკითხი, რომელსაც თავის მხრივ მხარს უჭერენ და შესაბამისად აღიარებენ ისეთი ერთეულები, როგორებიც არიან - ავსტრალია, კანადა, ევროკავშირი, ისრაელი, იაპონია, ახალი ზელანდია, პარაგვაი, გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები. მეორეს მხრივ, თურქეთი, სირია, შვეიცარია, საუდის არაბეთი, რუსეთის ფედერაცია, ნორვეგია, იორდანია, ეგვიპტე, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ბრაზილია თავს იკავებენ „ჰამასის“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებისგან.

„ჰარაკატ ალ მუქავარმა ალ-ისლამია“ (შემოკლ. „ჰამასი“) (ქართ. „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“)

ფიგურა 27. ღაზას სექტორი, ისრაელი, დასავლეთ სანაპირო

ისრაელთან დაპირისპირების პირობებში ღაზას სექტორის (იხ. ფიგურა 27) მაკონტროლებელი ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი (ქართ. „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“) პერიოდულად ერთვება სამხედრო ესკალაციაში ისრაელის დაზვერვის და სპეციალური ოპერაციების ინსტიტუტსა და ისრაელის თავდაცვის ძალების წინააღმდეგ. ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ სხვადასხვა დროს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ჰამასი“ პასუხისმგებელია 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისამდე ისრაელის ტერიტორიაზე განხორციელებულ 6 ტერორისტულ თავდასხმაზე.

„ჰამასის“ მიერ განხორციელებული თავდასხმები, როგორც წესი ისრაელთან სამხედრო ესკალაციის დროს ხდება, რაც ხელს უშლის აღნიშნული თავდასხმების შესახებ ინფორმაციის დროულ შეგროვებას. 2023 წლის პირველ ნახევარში ჰამასის მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების უმრავლესობა აპრილისა და მაისის თვეში ისრაელის თავდაცვის ძალებთან მომხდარი სამხედრო ესკალაციის დროს მოხდა (იხ. ფიგურა 28).



ფიგურა 28. „ჰამასის“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით.

2023 წლის პირველ ნახევარში, არა-სრულმასშტაბიანი სამხედრო ესკალაციის პირობებში ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები მეტწილად ისრაელის

ფიგურა 29. „ჰამასის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

თავდაცვის ძალების იმ წარმომადგენლებისკენ იყო მიმართული, რომლებიც ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროს საზღვრებთან ახლოს პატრულირებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. თავდასხმის დროს ლიკვიდირებულ თავდამსხმელთა რაოდენობა, მიუთითებს ისრაელის თავდაცვის ძალების უნარზე მოახდინონ მყისიერი რეაგირება თავდასხმასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე (იხ. ფიგურა 29).

ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ სამოქალაქო პირთა და სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენლების დაბალი რაოდენობა სხვა გარე ფაქტორებთან ერთად კავშირშია, აღნიშნული ორგანიზაციის და მასთან სხვადასხვა გზით დაკავშირებული პირების მიერ გამოყენებულ შეზღუდულ არსენალში (იხ. ფიგურა 30).



ფიგურა 30. „ჰამასის“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

პალესტინის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ისლამური ჯიჰადი (PIJ), 1996 წლიდან უარს ამბობს ღაზას სექტორის პოლიტიკაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა წარმოადგენს მედიატორ ერთეულს ტერორისტულ ორგანიზაცია ,ჰარაკატ ალ-მუქავარმა ალ-ისლამია“ (შემოკ. „ჰამასი“) (ქართ. „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“) და „ფატას“ შორის.

პალესტინის ისლამური ჯიჰადი (PIJ)

„ჰამასის“ მსგავსად, პალესტინის ისლამური ჯიჰადი (PIJ), რომელიც საკუთარი თავდასხმების კოორდინირებას სწორედ „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობასთან“ ახდენს, ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე პერიოდში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პასუხისმგებელია ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს, ისრაელის ტერიტორიაზე განხორციელებულ 5 ტერორისტული თავდასხმაზე (იხ. ფიგურა 31).



ფიგურა 31. პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ მსგავსად, პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიერ განხორციელებული ზემოთ ხსენებული 5 ტერორისტული თავდასხმის ძირითად სამიზნეს ისრაელის თავდაცვის ძალების ის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ, რომლებიც ქუჩაში პატრულირებაზე არიან პასუხისმგებელი. საგულისხმოა ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ლიკვიდირებულ თავდამსხმელთა მაღალი მაჩვენებელი (იხ. ფიგურა 32).



ფიგურა 32. პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა



ფიგურა 33. პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

პალესტინის ისლამური ჯიჰადის და მასთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების დაბალი მომაკვდინებლობის მაჩვენებელი, ისევე როგორც „ჰამასის“ შემთხვევაში, მიუთითებს თავდამსხმელთა მიერ „ნაკლებად ეფექტური“, ძირითადად ცივი იარაღის გამოყენებაზე (იხ. ფიგურა 33).

1982 წელს ისრაელის სამხრეთ ლიბანში ინტერვენციის პირობებში შექმნილი შიიტური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰიზბუ ლ-ლაჰი“ (შემოკ. „ჰეზბოლა“) (ქართ. „უფლის პარტია“) მიზნად ისრაელის განადგურებასთან ერთად, რეგიონში დასავლური გავლენების შემცირებას ისახავს.

„ჰიზბუ ლ-ლაჰ“ (შემოკლ. „ჰეზბოლა“) (ქართ. „უფლის პარტია“)

ფიგურა 27. ლიბანი

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ისრაელის თავდაცვის ძალებმა, ლიბანის ტერიტორიაზე (იხ. ფიგურა 33) ბაზირებულ პოლიტიკურ პარტია „ჰიზბუ ლ-ლაჰის“ (შემოკლ. „ჰეზბოლა“) (ქართ. „უფლის პარტია“) სამხედრო ფრთას 4-ჯერ დასდეს ბრალი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელებაში. ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 4 თავდასხმიდან 3-ში თავდასხმა უშუალოდ ტერორისტული ორგანიზაციის, ხოლო ერთხელ მასთან დაკავშირებული / მისი იდეოლოგიით შთაგონებული პირის მიერ განხორციელდა. საგულისხმოა, რომ თავად ლიბანის ტერიტორიაზე ბაზირებულ აღნიშნულ ერთეულს ამ დრომდე არცერთ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არ აუღია.

ისრაელის თავდაცვის ძალების ბრალდებით, „ჰიზბუ ლ-ლაჰ“ (შემოკლ. „ჰეზბოლა“) (ქართ. „უფლის პარტია“) მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები თებერვლისა და მაისის თვეებში განხორციელდა. მიუხედავად „ჰეზბოლას“ მიერ აღნიშნულ თავდასხმების შესახებ კომენტარის გაკეთებისგან თავის შეკავებისა, ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ მითითებული 3 თავდასხმის მცირე ინტერვალით განხორციელება შესაძლოა მიუთითებდეს შესაბამისი რესურსის მქონე ძალადობრივი ექსტრემისტული ერთეულის მიერ კოორდინირებულ თავდასხმათა სერიაზე (იხ. ფიგურა 34).



ფიგურა 34. „ჰეზბოლას“ მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმათა განაწილება თვეების

განსხვავებით ფართო სამხედრო ესკალაციებში ჩართვის შემთხვევაში სამხედრო საჰაერო დარტყმების გამოყენებით განხორციელებული ტერორისტული თავდასხმებისა, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით, ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ თავდასხმები, რომლებშიც ჰეზბოლა იქნა დადანაშაულებული, ისევე როგორც „ჰამასის“ და „პალესტინის ისლამური ჯიჰადის“ შემთხვევებში, მიმართული იყო ისრაელის თავდაცვის ძალების საპატრულო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირებზე. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ თავდასხმებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ისრაელის თავდაცვის ძალებმა აღნიშნული 4 ტერორისტული თავდასხმის ფარგლებში 6 თავდამსხმელი დროულად გაანეიტრალა.

საგულისხმოა, რომ განხორციელებულ წარუმატებელ თავდასხმებში მონაწილე პირები სხვადასხვა, თუმცა, მხოლოდ ცივი იარაღის ტიპით იყვნენ შეიარაღებული, რაც სხვა გარემოებებთან ერთად, ისრაელი-ლიბანის საზღვარზე მკაცრი კონტროლის არსებობითაც განისაზღვრება. განხორციელებული 4 თავდასხმიდან 3-ში პირები ცივი იარაღით, ხოლო 1 შემთხვევაში ბლაგვი საგნით იყვნენ შეიარაღებული.

„ჰარაკატ ანსარ ალაჰი“ (ქართ. „უფლის მცველები“) / (ასევე ცნობილი, როგორც) „ჰუთების მოძრაობა“ / „ჰუთები“ იემენის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედი ზაიდიტური ექსტრემისტული მოძრაობაა, რომელიც იემენელი პოლიტიკოსის, ჰუსეინ ბადრ ალ-დინ (/ ბადრედინ) ალ-ჰუთის ინიციატივით, 1992 წელს შეიქმნა. 2004 წლიდან, “მოძრაობამ“ ეროვნული აჯანყება დაიწყო ალი აბდალა სალეჰის ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი ადმინისტრაციის მიერ ერაყში ინტერვენციასა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერორის წინააღმდეგ გლობალური ომის მხარდაჭერის გამო.

„ჰარაკატ ანსარ ალაჰი“ (ქართ. „უფლის მცველები“) / (ასევე ცნობილი, როგორც) „ჰუთების / ჰუსიტების მოძრაობა“ / „ჰუთები / ჰუსიტები“



ფიგურა 35. „ჰუთების“ მიერ კონტროლირებული ტერიტორია იემენში

იემენის ჩრდილოეთ ნაწილში (იხ. ფიგურა 35) მოქმედი ეთნიკური ჰუთებისგან (ჰუსიტებისგან) დაკომპლექტებული ტერორისტული მოძრაობა, რომელიც საკუთარ თავს „უფლის მცველებს“ უწოდებს, 2023 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პასუხისმგებელია ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ 5 ტერორისტულ თავდასხმაზე, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის ქვეყნის დარჩენილ ტერიტორიაზე კონტროლის გამყარებას ემსახურება.

საუდიტურ კოალიციასთან დაპირისპირებულმა ჰუსიტებმა, მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისში, საუდის არაბეთისგან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, ტერორისტული თავდასხმები დროებით შეწყვიტეს. საგულისხმოა, რომ განხორციელებული 5 თავდასხმა მანამდე ორ მხარეს შორის არსებული მაღალი სამხედრო ესკალაციის პირობებში, თებერვალსა და მარტში მოხდა (იხ. ფიგურა 36).



ფიგურა 36. „ჰუთების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

იემენის ხელისუფლებაში მოსვლის და ქვეყნიდან საგარეო გავლენების გაძევების მიზნით, ჰუთების მოძრაობა წარსულში თავდასხმებს ახორციელებდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე - ისრაელის და საუდის არაბეთის წინააღმდეგ. აღნიშნული ორგანიზაციის პოლიტიკური მისწრაფებების გამო, იგი იშვიათად ესხმის თავს ჩრდილოეთ იემენის



ფიგურა 37. „ჰუთების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

ადგილობრივ მოსახლეობას. 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30-მაისამდე განხორციელებული თავდასხმები მიმართული იყო საუდიტური სამხედრო კოალიციის წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც 12 სამხედრო წარმომადგენელი გარდაიცვალა (იხ. ფიგურა 37).

მიუხედავად ტერორისტული თავდასხმის განხორციელების დროს სამოქალაქო პირებზე თავდასხმისთვის თავის არიდებისა, „ჰუთების“ მიერ კოალიციის წინააღმდეგ ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, რიგ შემთხვევებში სამოქალაქო მსხვერპლის არსებობასაც განსაზღვრავს (იხ. ფიგურა 38).



ფიგურა 38. „ჰუთების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის ტიპის მიხედვით

“ლაშქარ-ე-თაიბა” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT) 1987 წელს პაკისტანის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამისტური ფუნდამენტალისტური მოძრაობის, „მარკაზ უდ-დავა-ვალ-ირშადის“ (ქართ. „სალოცავი“) სამხედრო ფრთად ჩამოყალიბდა, რომლის მიზანსაც ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. ავღანეთში ომის დასრულების შემდეგ, “ლაშქარ-ე-თაიბამ” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT) მისი ტერორისტული აქტივობა ჯამუ და ქაშმირის რეგიონში, ინდოეთის ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართა, რომლის ფარგლებშიც მის მიზანს აღნიშნულ რეგიონში ინდოეთის გავლენის მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენდა.

“ლაშქარ-ე-თაიბა” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT)

ფიგურა 39. ჯამუ და ქაშმირის რეგიონი

ჯამუ და ქაშმირის ტერიტორიაზე (იხ. ფიგურა 39), ქაშმირის რეგიონზე ინდოეთის გავლენის შემცირების და მისი პაკისტანისთვის შეერთების მოტივით, მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია “ლაშქარ-ე-თაიბა” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT) 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 30-ივნისის ჩათვლით, საერთაშორისო მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პასუხისმგებელია სულ მცირე 4 ტერორისტულ თავდასხმაზე, რომელიც ქაშმირის კონფლიქტის ფარგლებში ინდოეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

2023 წლის პირველ ნახევარში, ჯამუ და ქაშმირის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელების თვალსაზრისით, “ლაშქარ-ე-თაიბა” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT) აქტიური აპრილი-ივნისის პერიოდში იყო (იხ. ფიგურა 40).



ფიგურა 40. “ლაშქარ-ე-თაიბას” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT) მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების

საგულისხმოა, რომ 2023 წლის პირველ ნახევარში, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია ინდოეთის აღნიშნულ რეგიონზე კონტროლის შემცირების მიზნით, თავს დაესხა როგორც ინდოელ სამხედროებს, ისე - ადგილობრივ მოსახლეობას (იხ. ფიგურა 41).

ფიგურა 41. „წმინდათა არმიის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა

ტერორისტული თავდასხმების დროს დაღუპულ თავდამსხმელთა მაღალი რიცხვი მიუთითებს აღნიშნული ორგანიზაციის და მასთან სხვადასხვა ფორმით დაკავშირებული მებრძოლების მიერ ტერორისტული თავდასხმის განხორციელებაში უმეტესწილად კონვენციური ცეცხლსასროლი იარაღის, ხოლო რიგ შემთხვევებში - ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებაზე (იხ. ფიგურა 42).



ფიგურა 42. „წმინდათა არმიის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

“თალიბანი” (ქართ. „შეგირდები“) სუნიზმის, ულტრანაციონალიზმის და ეთნოცენტრიზმის იდეებზე დაფუძნებული პროპაშტუნური მოძრაობაა, რომელიც ავღანეთს 1996-2001 წლების პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებულ ჰუმანიტარულ ინტერვენციამდე მართავდა. სახელი, „თალიბანი“ (ქართ. „შეგირდები“), ტერორისტულმა ორგანიზაციამ მისი წევრების გამო შეიძინა, რომლებიც ისლამს ავღანეთის და პაკისტანის ტერიტორიაზე არსებულ მედრესეებში სწავლობდნენ.

„თეჰრიკ-ე-თალიბან“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“) (TTP)



ფიგურა 43. სამხრეთ ვაზირისტანი (პაკისტანი)

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ავღანეთის დატოვების და ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნების შემდეგ, სამხრეთ ვაზირისტანში (იხ. ფიგურა 43) ბაზირებული ტერორისტული ორგანიზაცია **„თეჰრიკ-ე-თალიბან“ (ქართ. „პაკისტანის თალიბანი“) (TTP)** ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობა „წმინდათა ლაშქარის“ მსგავსად, ჯამუსა და ქაშმირის რეგიონში გადაიტანა, სადაც მის მთავარ მიზანს, აღნიშნული ტერიტორიაზე ინდოეთის კონტროლის შემცირება და საბოლოო ჯამში მისი პაკისტანისთვის შეერთებას წარმოადგენს. საერთაშორისო მედია-საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2023 წლის პირველ ნახევარში ორგანიზაცია პასუხისმგებელია ჯამუ და ქაშმირის ტერიტორიაზე განხორციელებულ 3 ტერორისტულ თავდასხმაზე.

ფიგურა 44. "პაკისტანის თალიბანის" ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა

2023 წლის პირველ ნახევარში, „პაკისტანის თალიბანის“ (TTP) მიერ ტერორისტული თავდასხმები აპრილის პირველ ნახევარში განხორციელდა. საგულისხმოა, რომ ისევე როგორც **“ლაშქარ-ე-თაიბა” (ქართ. „წმინდათა არმია“) (LeT)**, აღნიშნული ორგანიზაცია ტერორისტული თავდასხმების სამიზნე მეტწილად ინდოეთის სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურების წარმომადგენლები არიან. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, აღნიშნული განხორციელებული თავდასხმების ფარგლებში დაღუპულ სამოქალაქო პირთა რაოდენობაც (იხ. ფიგურა 44).

საგულისხმოა, რომ „წმინდათა ლაშქარისგან“ განსხვავებით, „პაკისტანის თალიბანი“, ტერორისტულ თავდასხმებს, მეტწილად ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით ახორციელებს (იხ. ფიგურა 45).



ფიგურა 45. „პაკისტანის თალიბანის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შესახებ

ტერორიზმის კვლევითი ცენტრის 2023 წლის ნახევარწლიური ანგარიში ითვალისწინებს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში არააფილირებული და ამ დრომდე არაიდენტიფიცირებული პირების მიერ განხორციელებულ 27 ტერორისტულ თავდასხმას, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ავღანეთის, პაკისტანის და ინდოეთის ტერიტორიებზე (იხ. ფიგურა 46).

ფიგურა 46. არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები ქვეყნების მიხედვით

არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების თვეების მიხედვით განაწილების თვალსაზრისით ყველაზე აქტიურ პერიოდს მაისის მეორე ნახევარ წარმოადგენს (იხ. ფიგურა 47).



ფიგურა 47. არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ, 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით

არააფილირებული თავდასხმების შედეგად გარდაცვლილ პირთა დაბალი მაჩვენებელი (იხ. ფიგურა 48) და განიარაღებულ (არალიკვიდირებულ) თავდამსხმელთა მაღალი მაჩვენებელი ადასტურებს მათ მიერ მეტწილად ცივი და რიგ შემთხვევაში ბლაგვი საგნის გამოყენებას სამოქალაქო პირების წინააღმდეგ.

ფიგურა 48. არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა



ფიგურა 49. არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები გამოყენებული იარაღის მიხედვით

დასკვნა

ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) მიერ საერთაშორისო მედიასაშუალებებში 2023 წლის პირველი იანვრიდან ოცდაათ ივნისამდე მომხდარი ტერორისტული თავდასხმების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადებული წინამდებარე ნახევარწლიური ანგარიში აღნიშნულ პერიოდში აღრიცხულ 120 ტერორისტულ თავდასხმას 5 ცვლადის - [1] თავდამსხმელის; [2] მსხვერპლის; [3] გამოყენებული იარაღის / თავდასხმის მეთოდის; [4] ლოკაციის; [5] დროის და მათ შორის კავშირის მიხედვით მიმოიხილავს.

აღნიშნული მულტივარიაციული ანალიზის თანახმად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მაღალი აქტივობით გამოირჩეოდნენ ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) აფრიკული და აზიური 5 ერთეული (ადგილობრივი პროვინცია), ალ კაიდასთან დაკავშირებული აფრიკის ტერიტორიაზე მოქმედი 2 ჯგუფი, იემენში ბაზირებული „ჰუთების / ჰუსიტების“ მოძრაობა და ჯამუ და ქაშმირის რეგიონში მოქმედი ისლამისტური დაჯგუფებები. ამასთანავე, საგულისხმოა არააფილირებული და არაიდენტიფიცირებული სუბიექტების მიერ აზიისა და ევროპის კონტინენტებზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმები.

წინამდებარე ანგარიშის თანახმად ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობის თვალსაზრისით, ყველაზე ცხელ წერტილებს საჰელის და საჰარის რეგიონები, ისრაელი, იემენი, ჯამუ და ქაშმირი წარმოადგენენ. საგულისხმოა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული თავდასხმების განაწილება თვეების მიხედვით. აპრილი-ივნისის პერიოდში წინა 3 თვესთან შედარებით დაფიქსირებული მაღალი აქტივობა მეტწილად განპირობებულია აქტიური ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შექმნილ გარემოებებზე რეაქციის სახით განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებთან.

მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად გარდაცვლილ პირთა რაოდენობა - 145 ქალი და 187 მამაკაცი (სულ: 332 ადამიანი), საიდანაც 151 სამოქალაქო პირი, 114 სამხედრო და სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენელი, 9 ხელისუფლების წარმომადგენელი და 58 თავდამსხმელია.

ტერორისტული თავდასხმების მომაკვდინებლობაზე თავის მხრივ გავლენას ახდენს თავდამსხმელის მიერ გამოყენებული იარაღის არჩევანიც. 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული 120 თავდასხმიდან 47 ცეცხლსასროლი იარაღით, 41 ცივით, 24 ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობით, ხოლო 8 თავდასხმა „სხვა“ კატეგორიის იარაღით (შესაძლოა ითვალისწინებდეს დასახელებული 3 ტიპის იარაღის ან სხვა ტიპის, მაგალითად ბლაგვი საგნის გამოყენებას) განხორციელდა.

TRC

2023 წლის ნახევარწლიური ანგარიში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ

www.trc.gcsd.org.ge
trc@gcsd.org.ge
032 2 22 26 67
#48/50, Mtskheta str.